ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 89

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 9 მარტი, 2023 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მიქელაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ფერმერთა სახლი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“),წარმოდგენილი დირექტორის **მერაბ თავდგირიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: **აგროქიმიური პროდუქტების** (CPV კოდი: 24450000) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწოდებს სხვადასხვა დასახელების საქონელს თანდართული ცხრილის (ფორმა N3) შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **453,50** (ოთხასორმოცდაცამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

3.2. დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით პეროდში.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია ხელოვნების ცენტრის მენეჯერი აიდა აბუსერიძე.

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის თაობაზე, წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად გაფორმებული სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულების 9.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

9.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სხვა პირობები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
10.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
10.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 584 274
იურიდიული მისამართი: ქალაქი ბათუმი,
ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1,
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი: 05 11 10 03

მიმწოდებელი:

შპს „ფერმერთა სახლი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 442 070
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი,
წერეთლის ქ., №17
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE16 BG00 0000 0127 5239 00
ელ.ფოსტა: rezo7171@gmail.com

Merab Tavdgiridze 61002004312
Digitally signed by Merab Tavdgiridze
Date: 2023.03.10 13:35:48

ძეობა თავდგიორიძე

ინფორმაცია

ფასების ცხრილი და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა N3

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება
1	ვერტამექტინ ფორტე 50 WDG 100 გრ	5	16,00	80,00
2	ნპკ 16 16 16	100	2,35	235,00
3	პანდორა 0,3 კგ	5	5,50	27,50
4	პროპაკური 100 გრ	5	8,00	40,00
5	რიდომილ გოლდი	1	60,00	60,00
6	ტოპაზი 10 მლ ბოთლი	5	2,20	11,00
	სულ ჯამი			**453,50**

მიმწოდებლის დასახელება – **შპს „ფერმერთა სახლი“**

ხელწერა .. Merab Tavdgiridze 61002004312 Digitally signed by Merab Tavdgiridze Date: 2023.03.10 13:38:38 .. **მერაბ თავდგირიძე**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქალაქი ბათუმი 9 მარტი, 2023 წელი

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ, შპს „ფერმერთა სახლი“-საგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აგროქიმიური პროდუქტების (CPVკოდი: 24450000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი : **გიორგი მიქელაძე**